საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საკანონმდებლო წინადადება

**საქართველოს სახელმწიფო დროშის გამოყენების წესის სრულყოფის შესახებ**

ცვლილების სახეობა: საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების გამოყენების წესის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანა[1]

კანონის პროექტის დასაბუთება: სახელმწიფო საზღვრის შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სასაზღვრო გამტარი პუნქტის თავზე აღიმართება საქართველოს სახელმწიფო დროშა. საგულისხმოა, რომ აღნიშნულს არ მკაფიოდ განსაზღვრავს საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების გამოყენების წესის შესახებ საქართველოს კანონი და მისი მე-6 მუხლის (საქართველოს სახელმწიფო დროშის აღმართვა და გამოფენა) 1-ლი პუნქტი[2], თუ რა თქმა უნდა არ მივიღებთ მხედველობაში ხსენებული პუნქტის „ლ" და „გ" ქვეპუნქტებით მოცემულ ზოგად ჩანაწერს და საქართველოს სახელმწიფო დროშის მუდმივად აღმართვის მიზნით

---

[1] ასევე იხილეთ საკანონმდებლო წინადადება (№1-1935/23, 06.02.2023) https://parliament.ge/legislation/25722.

[2] საქართველოს სახელმწიფო დროშა მუდმივად აღმართულია: ა) საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციის შენობაზე; ბ) საქართველოს პარლამენტის შენობაზე; გ) საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების შენობებზე; დ) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შენობაზე; ე) საქართველოს უზენაესი სასამართლოს შენობაზე; ვ) საქართველოს ეროვნული ბანკის შენობაზე; ზ) სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შენობაზე; თ) საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შენობაზე; ი) საქართველოს გენერალური პროკურატურის შენობაზე; კ) საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობაზე; ლ) სხვა ადმინისტრაციული ორგანოების შენობებზე; მ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების შენობებზე, აგრეთვე იმ შენობებზე, სადაც იმართება ამ ორგანოთა სესიები, – სესიების მიმდინარეობის პერიოდში; ნ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების შენობებზე; ო) მუნიციპალიტეტის ორგანოების შენობებზე, აგრეთვე იმ შენობებზე, სადაც იმართება ამ ორგანოთა სხდომები, – სხდომების მიმდინარეობის პერიოდში; პ) საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების შენობებზე; ჟ) საზღვაო გემებსა და საზღვაო მიმოსვლის სხვა საშუალებებზე, რომელთა მიწერის ადგილი საქართველოს ტერიტორიაა; რ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული იმ იურიდიული პირების შენობებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდებას; ს) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების შენობებზე; ტ) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შენობებზე; უ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შენობებზე.

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-9152/24
27.08.2024 ფურცელი 2

სასაზღვრო გამტარ პუნქტს არ მივაკუთვნებთ[3] „სხვა ადმინისტრაციული ორგანოებს[4] ან საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებს (შენობებს).

- ⇨ მიზანშეწონილია, რომ საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების გამოყენების წესის შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით მოცემულ ჩამონათვალში ასევე ცალკეულად მოცემული იყოს სასაზღვრო გამტარი პუნქტიც.


საკანონმდებლო წინადადების ავტორი/ ინიციატორი
ნიკოლოზ ნიკოლაძე პ/ნ [redacted] მობ.: [redacted] ელ. ფოსტა [redacted] მცხოვრები: [redacted]


27/08/2024



[3] სახელმწიფო საზღვრის შესახებ საქართველოს კანონით, **სასაზღვრო გამტარი პუნქტი განმარტებულია, როგორც** საერთაშორისო მიმოსვლისათვის ნებადართული **გზატკეცილის** ან **გზის მონაკვეთი,** რკინიგზის სადგურის, პორტის, ნავსადგურის, აეროპორტის (აეროდრომის) **ტერიტორიის ნაწილი,** სადაც ხორციელდება საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული სასაზღვრო და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა სახის კონტროლი.

[4] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლით, ადმინისტრაციული ორგანო განმარტებულია, როგორც – ყველა სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ორგანო/დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს